“ეკონომიკის ახალი კურსის” შესახებ

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 6-12 დეკემბერი, № 49, 2010

„ქრონიკას“ ესაუბრება ეკონომიკის ექპერტი, ლადო პაპავა:

– ბატონო ლადო, შაბათს სააკაშვილმა “ეკონომიკის ახალი კურსის” შესახებ გააკეთა განცხადება. ანუ, ეკონომიკაში სასიკეთო ცვლილებებს უნდა ველოდოთ?

– ჩვენ არცთუ ისე დიდი ხნის წინ გვქონდა, “ეკონომიკური თავისუფლების აქტი”, რომელიც კარგად იყო გაპიარებული, თუმცა ის სრულად შესრულებული დღემდე არ არის. ახლა ცხადდება “ეკონომიკის ახალი კურსი”. რა, თავისულფების აქტი მიღებულია, შესრულებულია, და ამიტომ გადავდივართ ახალ კურსზე? იბადება კითხვა: რითი განსხვავდება ეკონომიკის ახალი კურსი ეკონომიკური თავისუფლების აქტისაგან? თუ ეს არის უბრალოდ იმისთვის, რომ ის აქტი დავივიწყოთ... თუმცა, სააკაშვილმა სამართლიანად გაუსვა ხაზი იმას, რომ ხდება ბიზნესმენთა შევიწროება. და ეკონომიკის ახალი კურსი იმის გარანტია უნდა იყოს, რომ მეწარმეები აღარ შევიწროვდნენ. ამთ პრეზიდენტმა აღიარა, რომ აქამდე ხდებოდა ბიზნესის შევიწროვება. ეკონომიკის ახალი კურსის კონცეფცია წინააღმდეგობაში მოდის თავად ხელისუფლების პოლიტიკასთან და მის ინტერესებთან. საერთოდ ძნელია საუბარი ამ ახალ კურსზე, რადგან არავითარი დოკუმენტი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ პერზიდენტის გამოსვლა, რომელიც გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით...

– სააკაშვილმა ერთი საინტერესო ფრაზა თქვა: „გათვალისწინებულია დარიცხვის ისეთი მექანიზმების შემოღება, რომ ბიზნესის შეცდომის გამო და საწარმოს გაჩერებას, არ უნდა იწვევდეს. მაშინაც კი, როცა საწარმოს მფლობელიც შეგნებულად არღვევს კანონის ნორმას...“

– შეიძლება კორექტულად არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ მე მგონი ეს ასე უნდა გავიგოთ – ჩვენ ვიცით, რომ სხვადასხვა შემოწმებების დროს, თუ ჩაითვლებოდა, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევებს მაკონტროლებელი ორგანოები ლუქავდნენ სხვადასხვა საწარმოებს, თუ მაღაზიებს. ალბათ ამაზეა საუბარი, რომ ისინი აღარ დაილუქონ და გააგრძელონ მუშაობა. ეს თავისთავად ჯანსაღ

აზრთან ახლოს არის, რადგან შემოწმების დროს საწარმო არ უნდა იხურებოდეს, ხოლო თუ მას აქვს კანონდარღვევა უნდა დაერიცხოს ჯარიმა. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, რომ ეს აზრი მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული. რეალურად კი ეკონომიკის ახალი კურსი, ქაღალდზე უნდა იყოს გადატანილი, რის შემდეგაც შეიძლება მისი წაკითხვა და გააანალიზება. თუმცა ამ ხელისუფლებას რომელი პროგრამა ჰქონია დაწერილი, რომ ეს დაეწერა? მე ერთადერთი მახსენდება გურგენიძის 50-დღიანი გეგმა და ისიც 153 დღეზე იყო გაწერილი. ასევე შეგახსენებთ, რომ 2008 წელს გაიჟღერა 50-თვიანმა პროგრამამაც, რომელიც თვალით არავის უნახავს. ასე რომ, ამ განცხადებებით რაღაც განსაკუთრებულ შედეგებს არ უნდა ველოდოთ.

უბრალოდ, თუ ბიზნესს არ დაატერორებენ, კარგია, მაგრამ ძირეულ ცვლილებებს ნამდვილად არ ველოდები. ეს განცხადება, როგორც ყოველთვის, უფრო პიარისთვის იყო გაკეთებული და მეტი არაფერი...

– ბოლო დროს ხელისუფლება სერიოზულად ზრდის ტარიფებს. გაძვირდა წყალი, მგზავრობის საფასური, ძვირდება ნაგვის გადასახდელი. ფაქტია, რომ ხელისუფლებას აქვს ტენდენცია მოსახლეობისგან რაც შეიძლება მეტი ფული ამოიღოს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ფულის ამოღების ეს მექანიზმები, რა შედეგს გამოიღებს?

– დღეს ქვეყანაში არის ინფლაციის ძალიან მაღალი დონე. ხოლო, როცა ინფლაცია მაღალია, შესაბამისად ყველაფერი ძვირდება. თავისი მომსახურება უძვირდება ყველა ამ ორგანიზაციას, რომელიც გვაწვდის წყალს, ასუფთავებს და ახდენს მგზავრების გადაყვანას. რადგანაც მათ ხარჯები ეზრდებათ, ისინი ცდილობენ რომ ტარიფები გაზარდონ. რაც ჩვენთან ხდება, ამას ეკონომისტების ენაზე ჰქვია ინფლაციური სპირალი. ქვეყა ინფლაციურ სპირალშია მოყოლილი, და აქედან გამომდინარე, ყველაფერი ძვირდება. რა თქმა უნდა, მოსახლეობას ეს ძლაიან მძიმე ტვირთად აწვება, მაგრამ ამის მიზეზი არის არა ის, რომ ვიღაცას უნდა მოსახლეობისგან რაიმე დამატებითი თანხის ამოღება...

– კი მაგრამ, ტარიფების გარდა, ჩვენ ვხედავთ სხვა ტენდენციებსაც, რომლითაც ხელისუფლება მოსახლეობიდან თანხების ამოღებას ცდილობს. ეს არის ჯარიმების დაწესება, ნაგვის გადაგდებაზე, ღვედის გამოუყენებლობაზე და ა.შ...

– მოდით, ვიყოთ ობიექტურები. სამწუხაროლდ, თბილისი ერთ-ერთი უბინძურესი ქალაქია, მაგრამ სხვა საკითხია ის, რომ ეს ჯარიმები რა მექანიზმებით იქნება გამოყენებული და რა მდგომაროებაში ჩააყენებს ჩვენს

მოსახლეობას. ქვეყანაში მაღალი ინფლაციაა და ხელისუფლება ამას ვეღარ მალავს. მათ წინასწარ გააკეთეს განცხადება, რომ ეს წელი დასრულდება ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელით, მაგრამ ეს ორნიშნა მაჩვენებელი, შეიძლება იყოს 10 პროცენტიც და 99 პროცენტიც. ხელისუფლება სავარაუდოდ დააფიქსირებს 11 პროცენტამდე წლიურ ინფლაციას, მაგრამ რეალურად ინფლაცია გაცილებით მაღალია.

– მიმოქცევიდან ფულის ამოღება, ტარიფების გაზრდითა და ჯარიმების დაწესებით, ეკონომიკური თვალსაზრისით რა შედეგს მოიტანს?

– ეს არანაირ სასიკეთო შედეგს არ მოიტანს. ჯერ ერთი, ტარიფების გაზრდით ამოღებული ფული ისევ გახარჯული იქნება მომსახურებაში და ეს ინფლაციას არანაირად არ მოთოკავს. პირიქით, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა კიდევ და კიდევ უფრო დამძიმდება. აქ მთავარი ის კი არ არის, რომ მოსახლეობას გაუჭირდება. ეს მხოლოდ თანაგრძნობას იწვევს. საგანგაშო ის არის, რომ ხელისუფლება სამწუხაროდლ არ ათვითცნობიერებს საითკენ მიჰყავს ქვეყანა და არ დგამს შესაბამის ნაბიჯებს, რომ სიტუაცია როგორმე დარეგულირდეს. საერთოდ თვალები აქვს დახუჭული და თვლის, რომ ყველაფერი შესანიშნავად არის. გარდა ამისა, რადგანაც საქართველო საერთაშორისო დახმარების დიდ პაკეტის მიღებას ასრულებს ამ წლის ბოლოს, ხელისუფლება აპირებს ორი სერიოზული ნაბიჯის გადადგმას, ერთი – მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვას, რომელიც ჩემი აზრით დაუშვებელია, და მეორე – როგორც პრემიერმა ჩინეთში ვიზიტის დროს განაცხადა, 2011 წელს, გამოშვებული იქნება ევროობლიგაციები. ასე რომ, კიდევ გაიზრდება საქართველოს საგარეო ვალი, ეს ორი ნაბიჯი კი, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება კი არ არის, არამედ არის მთავრობის გადარჩენა, რომ მას ჰქონდეს ფინანსები ბიუჯეტში.

– რკინიგზის გაყიდვასაც ხომ არ აპირებენ?

– რკინიგზის რაღაც ნაწილი, როგორც ეტყობა უკვე გაყიდულია, თუმცა ვინ არის მყიდველი, ეს არ ვიცით. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ხელისუფლებამ აქციების რაღაც პაკეტი უკვე გაიტანა ლონდონის ბირჟაზე. თუმცა ამ აქციებიდან რამდენი გაიყიდა, რა ფასად გაიყიდა და ვინ არის მყიდველი, ეს ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

დიმიტრი ტიკარაძე